8
1965



1. იყო და არა იყო რა,
იყო პატარა ბიქტორა
და, რომ იტყვიან გლეხურად,
ცა თავზე ქუდად ეხურა.

# ვუნდერკინდი

სათავგადასავლო მხატვრული ფილმი

ხცენარის ავტორი ჯემბე დუმბაძა
რეჟისორი ნოდარ მალაზონია
მხატვარი ჯემალ ლოლუა

„ნიანგფილმის" ნაწარმოები.

ნიანგი
გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კაპ.
№ 6 თიბათვე მარტი 1965

ეროვნული ბიბლიოთეკა



8. ჭადრაკის წრეში ჩაწერეს.



9. გამოიყვანეს სცენაზე,
ვაჟა ფშაველა აკითხეს
ინდონეზიურ ენაზე.



10. დილით რომ მამა აუზში
საწყალს ცურვაში ხედნიდა.




11. საღამოს მასწავლებელი
კანტს უკითხავდა დედნიდან




15. ცეკვა, ფრანგული, ჭადრაკი,
ცურვა, ჯეგელი, იუმი,



16. გადაირია ბიქტორა.
შეკრიბეს კონსილიუმი



...რანგულიც,



20. მორჩა ბიქტორას წამება,



21. უკვე მესამე წელია






კოსმოსში მოძრაობის წესრიგის პირველი „დამრღვევი“

ნახ. ზ. ლომიძისა




# ბრავისიმო!

გვეშველა, გამოვიდა რუსულ-ქართული დრამატული თეატრალური ხელოვნების ტერმინები. ძვირფასო თეატრის მუშაკებო, ამ პატარა წიგნაკის საშუალებით თქვენ აწ და მარადის დაზღვეული ხართ ყოველგვარი გაურკვევლობისა და „ლაპსუსებისაგან“ თეატრალურ საგნებზე საუბრისას. დიახ „Агон“ სხვა რაღაც რომ გეგონათ, თურმე, მხოლოდ „აგონი“ ყოფილა, „Актер“ სულ სხვა რაღაც გეგონათ, თურმე, მხოლოდ „აქტიორია“, ხოლო „Артист цирка“ — ცირკის მსახიობი.

ამ პატარა წიგნაკიდან თქვენ შეიტყობთ, რომ, გარდა დღემდის ცნობილი თეატრალური ტერმინებისა, (მაგ., Бельэтаж ბელეტაჟი, Балаган — ბალაგანი, Бессловесная роль — უსიტყვო როლი და ა. შ.) თურმე არსებობს უამრავი თეატრალური ტერმინი. აი ისინიც:

**Благородный отец** — კეთილშობილი მამა
**Браво!** — ვაშა!
**Ветеран** — ვეტერანი.
**Восхищение** — აღტაცება, აღფრთოვანება.
**Впечатление** — შთაბეჭდილება.
**Голый темперамент** — მხოლოდ ტემპერამენტი.
**Живая картина** — ცოცხალი სურათი.
**Кабаре**— კაბარე.
**Капитан** — კაპიტანი.
**Картули** — ქართული (ცეკვა).
**Кинтаури** — კინტაური.
**Классицизм** — კლასიციზმი.
**Парад** — პარადი.
**Пейзаж** — პეიზაჟი.
**Перхиса** — ფერხისა.
**Произведение** — ნაწარმოები.
**Псевдоним** — ფსევდონიმი.
**Сентиментализм** — სენტიმენტალიზმი.
**Сюжет** — სიუჟეტი.
**Талант** — ტალანტი.
**Шарж** — შარჟი.
**Шутка** — ხუმრობა...

**Шутка** იქით იყოს და, თუკი ასეა, თავისუფლად შეიძლება თეატრალურ ტერმინებად ჩაითვალოს შემდეგი სიტყვებიც:

**Гамарджоба** — გამარჯობა.
**Кацо** — კაცო.
**Вино** — ღვინო.
**Хинкал** — ხინკალი.
**Привет** — სალამი და ა. შ. და ა. შ.

**Буф** — სამასხარო, სახუმარო, **Буффон** — მასხარა, ხუმრობა, **Буффонада** — ბუფონადა, **Буффонадная клоунада** — ბუფონადური კლოუნადა, **Брависсимо** — ბრავისიმო!

რ. არაჩემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიანგის წერილები

(„დედა ნახე, მამა ნახეს“ მიხედვით)

პავლოვის ქ. № 8
**ბ. სვანიშვილს**

გამარჯობათ, ამხანაგო ბესარიონ! არ შეგაწუხებდით, საქმე შესაწუხებლად რომ არ გვქონდეს. ერთ ბიჭს გიქებენ, ხარატი ყოფილა. საერთოდ ალალი ოჯახი გქონია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ოჯახში ერთი მახინჯი როგორ არ გამოერევა. მიმიხვდი, ხომ! ვის გვარზე ხტის მაინც ეს შენი ვალერიანი! ქვა ააგდო და თავი შეუშვირა —სწავლა არ მინდაო. ის ქვა, ვინ იცის, როდის გაუხეთქავს თავს, თუ კაცი ხარ, დროზე მიხედე, თორემ მერე გვიანი იქნება.

ტაშკენტის შესახვევი № 8
ან იქვე, ახლომახლო მდებარე სასადილო
**ა. გოლობოროცკას**

ამხ. ამხ. ალექსანდრე და ტოსია, ალავერდი თქვენთანა ვართ. როგორც ყოველთვის, ახლაც ალბათ ჩაის ჭიქებს ურახუნებთ ერთმანეთს, ვიდრე თავებსაც მიურახუნებდეთ, მოიკითხეთ სად არის თქვენი გიორგი. მისი ასავალ-დასავალი თქვენ არ იცით, სამაგიეროდ, მილიციამ დააწესა თქვენს მემკვიდრეზე მეთვალყურეობა და სწორედ მაშინ წაასწრეს სარდაფის გატეხვაზე, როდესაც თქვენ ღვინის სარდაფში შვილის სადღეგრძელოს მიირთმევდით.

სად დაკარგეთ სიფხიზლე?

**ო. თედელაურ-ინაშვილ-თათარაშვილს**
თბილისის მთავარი ფოსტამტი. მოკითხვამდე.

. ოლია პავლოვნა, თქვენი მისამართი თქვენმა ბავშვებმა არ იციან და ჩვენ საიდან გვეცოდინება. იქნებ ამ წერილთან ერთად ბავშვებიც მოიკითხოთ. თედელაურ-ინაშვილ-თათარაშვილის ქალო, შეგახსენებთ, რომ თქვენ გყავთ ორი, მარგალიტივით ბიჭი, ბებიის, თქვენი ყოფილი დედამთილის ანაბარად მიტოვებული. თქვენი შვილები დედას იფიცებენ, რომ დედა ცოცხალი ჰყავთ, მაგრამ, როგორც იტყვიან, ფიცი გვწამს—ბოლო გვაკვირვებს.

გოგოლის ქ. № 58.
**მ. ტატანაშვილს**

პატივცემულო მიხეილ, თქვენც და თქვენი ოჯახობაც კავშირგაბმულობის მუშაკები ხართ. იცით თუ არა თქვენ, რომ თქვენი გივიც ამავე პროფესიას ეტანება და პრაქტიკას ქალაქის ტაქსაფონების ჯიხურებში გადის. ურეკავს უცნობ-ნაცნობებს და ელაზღანდარავება. წვრილმანობაში ნუ ჩამოგვართმევ და წვრილმან რაღაცეებშიც კი ყოფილა შემჩნეული. თქვენ ხომ არაფერი შეგიმჩნევიათ, პატივცემულო მშობლებო!

ახლა თქვენი გივი თხუთმეტი წლისაა. ხელიდან არ გაუშვათ, სანამ დროა.

კლარა ცეტკინის ქ. № 101
**რ. არაბოვს**

ძმაო როსტომ, მომილოცავს შვილის გაბედნიერება. თუმცა შენ რას გილოცავ, ტვირთი მოგემატა. ე. ი. როგორც კი ხელის მოწერა ისწავლა, პასპორტის აღება მოასწრო და ულვაშები დაიმშვენა. შეჯდა ჯორზე და მამაჩის ბიუროსაკენ გააჭენ-გამოაჭენა. რაც ასწავლეთ, ის არ ისწავლა, რაც არ ასწავლეს, ის ისწავლა. „ცემა გვმართებს მშობლისაო“ —ცუდად გაზრდილი შვილის მშობლებზე იტყვიან. ჰოდა, როგორც ჩანს, სხვას არ ენდობა— თვითონ მერაბი მოდის თქვენს ოხტში.

ასე გალახულია თქვენი მამაშვილობა.

მშობლებო, თქვენს საყურადღებოდ!

არ დატოვოთ უყურადღებოდ თქვენი შვილები ჩვენ მომავალშიც მოგწერთ წერილებს, შეგეხმიანებით.

ნახ. ე. ბერძენიშვილისა




— კვინიხიძე, მიჩვენე ყაზბეგი!..
— საიდან, მასწავლებელო?
— პამირი?
— არ ვიცი, პატივცემულო!
— ვერც ბაიკალს მიჩვენებ?
— რას გადამეკიდეთ, მასწავლებელო, არ ვეწევი პაპიროსს და რა ვქნა?

## „ვოლგა სუვენირი“

**თუ პირობას მომცემ, რომ დანის სროლას თავს დაანებებ, — მე შენ ნამდვილ დამბაჩას გიყიდი!**

**„მამის დარიგება“.**

იმ ღამეს პატარა ჟორჟი თავის საზაფხულო „რეზიდენციაში“ ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა, და თან ამხანაგებიც მოიყოლა: სამი „ტუჩზე რძეშეუშრალი რაინდი“ და ერთიც — ნაადრევად აქცენტირებული გარეგნობით 15-16 წლის „ქალიშვილი“. სასახლის მთელი პერსონალი, ყოველგვარი ცერემონიების გარეშე, ლოგინებიდან წამოჰყარა და მანსარდში ზღაპრული სუფრა გააშლევინა; შემდეგ ყველას სარდაფში მოუყარა თავი და მომენტის განსაკუთრებული სერიოზულობის გამო, სახელდახელოდ თათბირი ჩაუტარა.

სასახლეში „სამხედრო რეჟიმი“ გამოცხადდა: პატარა ჟორჟის სპეციალური ნებართვის გარეშე — სარდაფიდან ამოსვლა, სასახლიდან გასვლა და ტელეფონით სარგებლობა — ყველას სასტიკად აეკრძალა.

ქეიფი სამ დღეს გაგრძელდა.

მეოთხე დღეს ბიჭები ქალაქში გაისტუმრა, ხოლო გოგონა კიდევ სამ დღეს დაიტოვა... მეშვიდე დღეს კი სასახლეს, ყველასათვის მოულოდნელად, ჟორჟის დედა — მარი ეწვია. დედა-შვილი მამის სამუშაო კაბინეტში ჩაიკეტნენ და სასახლის მომსახურე პერსონალი ამაოდ დაშვრა საქმის ნამდვილი ვითარების გაგების მოლოდინში.

გათენებისას სასახლის პატარა „შაჰმა“ გოგონას რატომღაც სცემა და ცხარედ ატირებული ქუჩაში გამოაგდო. ჭიშკართან მას „შემთხვევით“ ჟორჟის დედა შეხვდა, „შეეცოდა“ ატირებული გოგონა, დაუყვავა, ანუგეშა, შემდეგ ტაქსში ჩაისვა და ქალაქისაკენ გააქროლა.

სასახლე „ქუხილის მოლოდინში“ გაინაბა...

პატარა ჟორჟს ათი დღის განმავლობაში სასახლიდან ფეხი არ გამოუდგამს, არ ტელეფონს უჯდა, ან კიდევ ოთახებში უაზროდ დაბორიალობდა.

მეთერთმეტე დღეს სასახლეს „დიდი ჟორჟი“ ესტუმრა... და პატარა ჟორჟს მცირე საჩუქარი — ახალთახალი, კრიალა „ვოლგა“ ჩამოუტანა..

პ. ხუციშვილი.

## განცხადებები

ბავშვებისა და მშობლების საყურადღებოდ!

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურული სალონი აცხადებს კონკურსს მომავალ **ᲒᲔᲜᲘᲝᲡ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲖᲔ**. მომავალმა გენიოსებმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინონ: **ᲤᲝᲢᲝᲒᲔᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔ** — ტელევიზორისათვის.

დიქცია, ხმა და არტისტიზმი — რადიოსათვის...

და, რაც მთავარია, **ᲓᲘᲓᲘ ᲘᲛᲔᲓᲘ**, რომლითაც მათი პედაგოგები და მეცნიერმუშაკები იხელმძღვანელებენ.

§ §

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე აცხადებს კონკურსს **ᲫᲘᲚᲒᲐᲛᲫᲚᲔ** ბავშვებზე, გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ **ᲒᲕᲘᲐᲜᲦᲐᲛᲘᲗ** ყველა ღონისძიებაზე და იუბილეზე.

ლუმინალი, მედინალი და მაგარი ყავა უფასოდ.

§ §

უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროში" შეიქმნა ახალი განყოფილება „ყველაფერი მასწავლებლებისათვის". ბავშვებო, თქვენ აქ, მშობლებთან ერთად, აღმზრდელი მასწავლებლისათვის სადღესასწაულოდ და დაბადების დღისათვის შეგიძლიათ შეიძინოთ ნაირ-ნაირი ბროლის ვაზები, „ელონისა" და „ლავსანის" საკოსტუმეები, მაცივრები, ჩაისა და სადილის ძვირფასი სერვიზი, მთის ფერადი ბროლისაგან დამზადებული ყავის სერვიზი, ტელევიზორი და რადიომიმღები.

იჩქარეთ, ბავშვებო!

§ §

ფილარმონიის საზაფხულო თეატრში საგაზაფხულო არდადეგებზე მოეწყობა დიდი სალამო-ლექტორიუმი.

მთელი სალამო დაეთმობა საოცრება **ᲔᲡᲠᲐᲕᲜᲐᲮᲔᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ** გამოსვლას.

ორი წლისა და სამი წლის ბავშვები წაიკითხავენ ლექციებს თემებზე — „მდგომარეობა ლაოსში", „მეორე სამამულო ომი და ჩვენი მოკავშირეები", „ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის საერთო გენერალური ხაზის გავლებისათვის", „კაი მშობლის როლი ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში". ლექტორიუმის შემდეგ გაიმართება მშობლების პაექრობა თემაზე: ვისი შვილი უკეთესია.

**ᲯᲐᲙᲣᲜᲘᲐ**

---

სასტუმროს წარმოშობის ისტორია დაახლოებით ასეთია.

ღმერთმა რომ ადამი და ევა გამოყარა სამოთხიდან ვაშლის გულისათვის ადამი და ევა ისე გამრავლდნენ, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა. როგორც ახლა, ადამიანებმა დაიწყეს სტუმრიანობა.

პირველი სტუმრიანობა ალბათ ასე მოხდა:

— მასპინძელო! — დაიძახა ჭიშკართან ვილაცამ.

— რომელი ხარ? — გამოსძახა სახლიდან ადამიანმა.

— ნოე ვარ, ნოე!

— რომელი, ქორდანია?

— არა, ბატონო, კიდობანი რომ ავაშენე, ის!

— აბა, მობრძანდით! — შეიპატიჟა ადამიანმა ადამიანი, მოუტეხა პური, დაუსხა ღვინო, დაუგო დათვის ტყავი, დაუდო სასთუმალს რიყის ქვა, და დაიძინეო უთხრა. გაიღვიძა დილას სტუმარმა, არც ფული გადაუხდია, არც ანკეტა შეუვსია, მოხიკა საკუთარი გუდა-ნაბადი, მადლობა უთხრა მასპინძელს და წავიდა თავისი გზით.

სტუმარი რომ გაუხშირდა ადამიანს და საკუთარ სახლში რომ ვეღარ დაატია, გვერდით სხვა პატარა სახლი აიშენა და „სასტუმრო" დააწერა. შემდეგ წავიდა ცხოვრება წინ და ბოლოს იმ ზომამდე მივიდა, რომ მე რომ ამასწინად ვიყავი ისეთი სასტუმროც კი ააშენა.

— გამარჯობათ! — გავაღვიძე ორ სავარძელზე გასახერხი ფიცარივით გადებული ადმინისტრატორი.

— გაგიმარჯოს! — გაალო მან მარცხენა თვალი.

— ნომერი გაქვთ? — ვიკითხე ზესტაფონის სასტუმროში გაწბილებული ხმით.

— გვაქვს! — თქვა მან და წამოდგა.

— აგაშენა ღმერთმა! — ამოვისუნთქე მე.

ადმინისტრატორმა პასპორტი მთხოვა და ანკეტა მომაწოდა.

— პასპორტი არ მაქვს. — დავიმორცხვე მე.

— ლატომ, ლატომ, — სლუღწლოვანი ალ ხალ? — მიმოჩლიქა ენა მან.

— პირადობის მოწმობა მაქვს! — დავიბოხე ხმა.

— არ გამოვა! — მომიჭრა ადმინისტრატორმა.

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— რა ვიცი მე, იქნებ სხვისი პირადობის მოწმობა გაქვს, კაცი გყავს ეგება მოკლული და იმალები სხვისი სახელით. ქალი გყავს ეგება გაუპატიურებული ან ზესტაფონის ბანკი გატეხილი... ჰოდა, რა ვუპასუხო დილას რომ მკითხავენ, ამხანაგო ვანიჩქა, წუხელ თქვენს სასტუმროში ღამეს ათევდა კაცისმკვლელი, ბანკის მძარცველი, ქალის გამაუპატიურებელი, ამორალური მოქალაქე, რა გვარი ბრძანდებით? — მკითხა უცებ.

— დუმბავა.

— აგაშენა ღმერთმა, ბანდიტი დუმბავა, რა ქნა მერე მე?

— ვინ გკითხავს, ბიჭო მაგას? — შემეშინდა მე.

— ცოტაა მკითხველი? უპასპორტოდ ვერ ჩაგწერ. — გადამიწურა წყალი ადმინისტრატორმა.

— რას ჩააცივდი, კაცო, ამ პასპორტს, ხომ შეიძლება პასპორტიც სხვისი მქონდეს? — გავბრაზდი მე.

— ახლა პასპორტიც თუ სხვისი გაქვს, პირადობის მოწმობაც, საბუთიც ყალბი, სურათიც ყალბი, ბეჭედიც ყალბი და შპიონი თუ ხარ, ბარემ ჩამბარდი და მილიციაში გაგათევიებ ღამეს, რაღა ჩემთან დაგაწვინო?! — დამარიგა ჭკუა ადმინისტრატორმა.

— ჩემო ვანიჩქა, ოღონდ ახლა ნუ გამაგდებ ქუჩაში და რაც გინდა მიქენი, თუ გინდა ჯაჭვით მიმაბი საწოლის ფეხზე, არსად გაგექცევი, ჩემს ბავშვებს და ქალარას გეფიცები... — გავურიე ხმაში ცრემლი. ადმინისტრატორმა დიდხანს მიყურა გამომცდელი თვალით, მერე კეფა მოიფხანა, — შენი იღბალი, საწყალი გული რომ მაქვსო, მითხრა და ანკეტა მომაწოდა.

— შეავსე ეს ანკეტა და ერთი პუნქტი რომ პუნქტია ისიც არ გამოგრჩეს, თორემ, ხომ იცი, ანკეტას ხუმრობა არ უყვარს, ჩემს გარდა, ქვეყანა ამოწმებს. — გამაფრთხილა მან.

— კაცი კი არა ღვთისმშობელი ხარ! — შევღაღადე ვანიჩქას და ანკეტის შევსება დავიწყე.

1. გვარი, სახელი, მამის სახელი — დუმბავა ჯვებე ვლადიმერის-ძე.
2. სქესი — მოზვერი.
3. ეროვნება — გურული.
4. განათლება — დებილი — დეგენერატი, წერაკითხვის უცოდინარი.
5. ასაკი — ნორჩი.
6. პროფესია და თანამდებობა — ბანდიტი, სეიფების მტეხავი ოსტატი.
7. ჩამოსვლის მიზანი — ავაფეთქო რაიაღმასკომი და ყელი გამოვჭრა ადგილობრივი სასტუმროს ადმინისტრატორს.
8. საიდან ჩამოდი — საიდუმლოა.
9. სად მიემგზავრები — სიკვდილში და არაადარჩენაში.
10. რამდენი ხანით ჩამოდი — თუ მომეწონა, სულ არ წავალ აქედან.
11. ოჯახური მდგომარეობა — მყავს მეოთხე ცოლი, წინა სამი ცოლი მოვწამლე, ახლა ვწამლავ მეოთხესაც.
12. საცხოვრებელი ადგილი და მისამართი — მაწანწალა, უსახლკარო და უპატრონო.

პირადი ხელის მოწერა: ა. შ. შ. თავდაცვის მინისტრი

მ ა კ ნ ა მ ა რ ა

ვანიჩქამ ანკეტა პირადობის მოწმობაში ჩადო გარდიგარდმო, უჯრაში ჩაკეტა, ძილი ნებისა უსურვა და ისევ სავარძლებზე გაწვა გასახერხი ფიცარივით.

მეორე დღეს მე და ვანიჩქა ახლო მეგობრებივით დავცილდით ერთმანეთს.

— დიდი მადლობა ჩემო ვანიჩქა, თბილისში თუ მოგიხდეს ჩამოსვლა, მომაკითხე. ანკეტაში ყველაფერი წერია, მისამართიც და... არ მომერიდო, თუ ძმა ხარ.

— კი ბატონო, თავიდან რომ გეთქვათ ვინც ბრძანდებით, იმ ანკეტას ვინ ოხერი შეგავსებიებდათ, სულაც ჩვენებური ყოფილხართ, მაგრამ უნდა მაპატიოთ, ხომ იცით სამსახურს წესრიგი უყვარს! — მიპასუხა ვანიჩქამ და დარცხვენილმა მაგრად ჩამომართვა ხელი.

— თუ დამირჩა აქეთ გზა, კიდევ გამოგივლით. — დავპირდი მე.

— მობრძანდით, ბატონო, თქვენზე უკეთესი ვინ მესტუმრება. — დამპატიჟა მან და წუხელ რომ მე მედო ჯიბეში, ის თუმნიანი ჯიბეში ჩაიდო.

**ᲯᲕᲔᲑᲔ ᲓᲣᲛᲑᲐᲕᲐ**

---



— მომეცით ვალიდოლი, ქაფური, ვალერიანის წვეთები...

— რად გინდა, ბიჭიკო, ამდენი წამლები?

— ხვალ კლასის დამრიგებელი უნდა მოვიდეს ჩვენთან.

---

## მცირე მოთხრობები

სასიმამრომ სასიძო სახლში მოიპატიჟა და, სანამ სუფრა გაიშლებოდა, შესთავაზა ერთი პარტია ჭადრაკი ვითამაშოთო.

სასიძომ იფიქრა: „ეს ნამდვილად ფანდია. ამიტომ დიდი გამჭრიახობა მმართებსო. თუ მოვიგე გული დასწყდება და გაბრაზებულმა შეიძლება ქალი არც კი გამომატანოს. თუ წავაგე, იფიქრებს, ეს გლახაკი ვინ ყოფილაო, და არც მაშინ დამადგება კარგი დღე. მხოლოდ ყაიმი! ამით არც მწვადი დაიწვება, არც შამფური და საქმეც ნატვრის თვალივით წარიმართება"...

მაგრამ თამაშის მსვლელობაში რამდენს არ ეცადა სასიძო, პოზიციურ უპირატესობას თავი ვერ დააღწია, თავისდა სამწუხაროდ გამოიჭირა კუთხეში მოწინააღმდეგე და დაამამათა კიდეც.

შედეგით შემცბარი ჭაბუკი გონს რომ მოვიდა, წამოდგა და მოუბოდიშა მასპინძელს:

— თქვენ, ბატონო, შესანიშნავად თამაშობთ, მაგრამ... შეცდომა დაუშვით და ჩემი მოგებაც იმის შედეგია.

— ღმერთმა ქნას, ეს მოგება ბედნიერებაში მოგხმარდეთ, მე კი ჩემი შეცდომა სანანებლად არ გამიხდეს... — გაეცინა სასიმამროს და ჭაბუკს მოგება მიულოცა.

✦

ორადგილიან კუპეში ერთი მგზავრი მთელი ღამე ხვრინავდა და მეორემ ვერაფრით ვერ დაიძინა.

დილით, როცა პირველმა გაიღვიძა, მეორემ, რომელმაც უძილოთ გაატარა ღამე, დრო იხელთა და მაშინვე ძილს მიეცა.

ასე იმგზავრეს მოსკოვამდე.

განშორებისას მგზავრმა, რომელიც ღამე ხვრინავდა, საყვედურით მიმართა თანამგზავრს:

— ნამეტანი გყვარებიათ ნებივრობა... ასე, ჩემო კარგო, მთელს ცხოვრებას ძილში გაატარებთ.

— ნამდვილად ასე იქნება, თუკი ბედად მიწერია მთელი ჩემი ცხოვრება თქვენთან ერთად მგზავრობა.

**ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ**

---



ნახ. მ. ბერძენიშვილისა

---

**ᲙᲝᲠᲘᲣᲙᲘ**

გალიაში ზის ბულბული
და საბრალოდ მოსთქვამს ასე:
— ღმერთო ჩემო, ვით უგნური
ამ დილეგში რისთვის ჩამსვეს?!

— შე სულელო, იმისთვის რომ
არ შეგჭამოს გარეთ ფისომ!

მგალობელი შეცბა ოდნავ
და მხოლოდ ეს დაუმატა:
— ჩემს მაგივრად იქნებ ჯობდა
გალიაში იჯდეს კატა.

თარგმნა **ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




— ანტიალკოჰოლისტის სლალომი



### ვერტიკალურად

1. ფულთან ერთად რევიზორის დასაშოშმინებელი შორისდებული. 2. უხვად რომ იფლანგება და კანონით რომ არ ისჯება. 3. ის, მაია წყნეთელის შთამომავალი ვაჟკაცები რომ ყიდიან თბილისში. 4. მკერდზე მჯიღის დარტყმით შემოვიდა ქართულში „მშვენიერის“ მაგივრად. 5. კიკინებიან გოგონებს ეძახიან. 6. ვარცხნილობა ხინდისის გაწყვეტილი ძარღვის დასაფარად, იხმარება შუბლზე. 7. გალახვას ნიშნავს გალახული ქართული ენით. 8. რძეს რომ იხვეწება და რომ არ ასმევენ. 9. რესტორანში იწყება, გამოსაფხიზლებელში მთავრდება. 10. გამხდარი ფეხსაცმელი. 11. მოდაა, არც ჩასაცმელია და არც დასახურავი, სასმელია. 12. ხელბურთი ფეხბურთში. 13. ნახევარ საქართველოს რომ აქვს დამთავრებული. 14. უფროსები რომ ალერსით ეძახიან პატარებს. 15. რუსული სიტყვაა, ქართულ ოჯახებსაც ანგრევს. 16. დიდი ქიმია პატარა თავზე. 17. სოფლიდან უძღვენოდ ჩამოსული ნათესავი.

### ჰორიზონტალურად

1. უსაყვარლესი ადამიანი ცოლის მხრიდან. 2. დასავლეთ გერმანია რომ იქაჩება და არ აძლევენ. 3. ყველანაირ საჭმელს ეძახიან. 10. მიმოქცევის საშუალება შავ ბაზარზე. 4. გუგული, რომ იძახის „თესეს“ წინ. 5. დისერტაციასაც ჯობია ხანდახან. 6. ეროსი მანჯგალაძის საყვარელი შეძახილი. 7. კურორტი, საიდანაც ზოგიერთი ოჯახს ძალიან პირშავად უბრუნდება. 8. რუსული სიტყვაა, ზოგიერთ კრიტიკოსზე ზედგამოჭრილია. 9. თბილისელი „მუშკეტერების“ იარაღი. 11. ღორს რომ უყვარს. 12. ქურდული ჟარგონით იარაღს, ხოლო რუსულად სულელ ქალს ნიშნავს. 13. არსენა რომ სიზმარში წვერს ილებავდა. 14. ვაჟაფშაველას საყვარელი ბალახი. 15. აბურძგნილი მატერიის სახელი.

კროსვორდის პასუხი იხილეთ მე-7 გვერდზე

## ქუთაისელ ტელემაყურებელთა საყურადღებოდ

„ნიანგის“ რედაქცია გაცნობებთ, რომ კინოფილმ „ახალგაზრდა გვარდიის“ პირველ სერიას, რომლის მეორე სერია თქვენ ნახეთ 1965 წლის 18 თებერვალს, ნახავთ 1972 წლის იმავე რიცხვში.

## ნიანგის კალენდარი

1965

### 1 მარტი

1964 წლის 30 მარტს თბილისის ერთ-ერთი სკოლის ნორჩებმა ორიანებით გატენილი საკლასო ჟურნალი მტკვარში ჩაძირეს.

კლასის დამრიგებელმა მეხსიერების „სპასატელნი კრუგი“ ესროლა წყალწაღებულთ — ჟურნალსა და მოსწავლეებს. ასე გადარჩნენ დახრჩობას ორიანები.

1957 წლის 30 მარტს სტილიაგების დარბევასთან დაკავშირებით თბილისელმა გოგონებმა გლოვის ნიშნად მასობრივად ჩაიცვეს შავი წინდები.

1965 — თებერვლის დასაწყისში ქ. წულუკიძის მაღაზიების ვიტრინებიდან, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, გაქრა პრიმა.

1965

### 2 მარტი

1965 — თებერვლის ბოლოს ქ. წულუკიძის „პრიმის“ მწეველთა რაზმმა იმავე მაღაზიებში დახლქვეშ აღმოაჩინა იმავე ვიტრინებიდან გამქრალი იგივე „პრიმა“, ოღონდ 20 კაპიკად.

1941 წლიდან თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთის ათას ოჯახზე მეტი რაჭული სიდინჯით ითმენს უწყლობას.

1765 წ. — გარდაიცვალა გამოჩენილი ინგლისელი ექიმი ჯონ სმიტი, რომელმაც თან წაიღო თმის ამოსაყვანი წამლის საიდუმლოება.

# ნოტა

## თბილმშენის № 8 სამმართველოს

მივაქცევთ თქვენს ყურადღებას შემდეგ დანაშაულებრივ აქტს: თქვენი მშენებლების მიერ დარღვეულ იქნა ხელშეკრულება. სამმართველოს „ჯარებმა“ (მშენებლებმა) ვადაზე ადრე დასტოვეს სამშენებლო ობიექტი „აეროფლოტი 12“, დაიბანეს ხელები და მოუსვეს, რითაც საფრთხეში ჩააგდეს მშვიდობიანი მოსახლეობა.

მოსალოდნელი ხიფათის შემსწავლელმა კომისიამ ადგილზე დათვალიერებისას აღმოაჩინა შემდეგი ნაკლოვანებები:

სახლი რვასართულიანია, მაგრამ დაუტკეპნავმა მიწამ ჩაიწია და სახლი ერთი სართულით გაიზარდა.

დასკდა კანალიზაციის მილები, კედელში დატანებული სანაგვეები გაიჭედა, ცენტრალური გათბობის ჭა თავდაუხურავია, წყლისა და სინათლის მრიცხველები არ დაუყენებიათ, ჭერს ხელმეორედ ლესავენ, პარკეტი ხელმეორედაა დასაგები, სადარბაზოს კიბეები მჭადივით იფხვნება; პირველი სართულის ლოჯები დასახურია, გაზი შესაერთებელი. მართალია, სახლი მფრინავებს ეკუთვნით, მაგრამ მართლაც მფრინავის გული უნდა გქონდეს, გადაწყვიტო გაემგზავრო რვასართულიან შვეულ მოგზაურობაში — ლიფტ არ მუშაობს. მშენებლობას აწარმოებდა № 8 სამმართველოს ინჟინერი გ. მეძველია.

ამხანაგო შენძველია, წინადადება გეძლევათ 24 საათში მიიღოთ გადაწყვეტილება და შეუდგეთ ახალაშენებული სახლის შეკეთებას.

ნიანგის რედკოლეგია.

## ჭიპზე რომ გასკდე, ვერ მოიფიქრებ

„ამა წლის 15 თებერვალს სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ჩემი შვილიშვილი ნუგზარი; ნიშნები: არითმეტიკა — 3, ქართული ენა. —3, ფიზკულტურა — 5, ყოფაქცევა — 2. მნახველს ვთხოვ ამოიყვანოს მესამე სართულზე.

(გაზეთში გამოსაქვეყნებლად შესული განცხადება)
ქ. თბილისი

„ფეხმძიმობის პერიოდში ქმარი გამეყარა, შემდეგ ისევ შემირიგდა, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა, გთხოვთ განმიმარტოთ მეკუთვნის თუ არა სამი თვის ალიმენტი?“

(იურიდიულ კონსულტაციაში შესული შეკითხვა)
ქ. თბილისი

„მოგახსენებთ, რომ მამა გარდამეცვალა, მას შემდეგ ვარ მხოლოდ დედიშობილა. გთხოვთ მომცეთ ცნობა, რომ სამი წლის შემდეგ გავხდები სრულყოფილი 18 წლის.

(სახლმმართველობაში შემოსული განცხადება)

„მოგეხსენებათ, რომ ახალ სიმღერაში „მიყვარხარ, როგორც მაშინ“, ოთხჯერ მიხდება სიბემოლის აწევა, გთხოვთ მიშუამდგომლოთ კომპოზიტორთან, რათა ერთი ტონით მაინც დაუწიოს, თორემ ყელი ავარიულ მდგომარეობაში მაქვს“.

(განცხადება საკონცერტო ბრიგადის ხელმძღვანელის სახელზე)
ქ. თბილისი

„...ფერმის ყველა ცხენი ალვირაშვებულია და თავისუფლად იქცევა საკოლმეურნეო ყანებში, რასაც დიდი ზარალი მოაქვს...“

(რევიზიის მოხსენებითი ბარათიდან)

„მოგახსენებთ, რომ ჩემი პირველი განცხადება მექანიკურად გადავიწერე ამხანაგის განცხადებიდან, რადგანაც მეგონა, რომ ერთიდაიმავე საქმეზე ვწერდით, ახლა გთხოვთ, ნუკი გამათავისუფლებთ სამსახურიდან, როგორც ჩემს პირველ განცხადებაში ეწერა, არამედ მომცეთ ორკვირიანი საგზური კურორტ გაგრაში, რაც თავიდანვე მინდოდა“.

(ქარხნის კანცელარიის არქივიდან)

„ვაკეთებ ჩაიკოვსკის ქანდაკებას. გთხოვთ ანატომიის კაბინეტიდან ერთი კვირით მათხოვოთ ადამიანის ჩონჩხი, რადგანაც ნეკნები ამერია“.

(სტუდენტის განცხადება სამხატვრო აკადემიის დირექტორის სახელზე)

„ამით ვადასტურებთ, რომ დამზადების პუნქტმა ჩაიბარა 40 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 300 სული წვრილფეხა ურქოსანი ქათამი...“

(ამონაწერი აქტიდან) ვანის რაიონი.

შეკრიბა ო. ალფაიძემ.

## კროსვორდის პასუხი

**ვერტიკალურად:**

1. სუ. 2. დრო. 3. ია. 4. ტობე. 5. წიწკვი. 6. ჩოლკა. 7. ქოთაქი. 8. ხბო. 9. ვარიანტი. 10. მოკასინი. 11. ყავა. 12. ჰენცი. 13. ასპირანტურა. 14. ლაწირაკი. 15. რაზვოდი. 16. ხნა. 17. გოიმი.

**ჰორიზონტალურად:**

1. სიდედრი. 2. ატომი. 3. სათოხლაო. 10. მაყუთი. 4. კაფე. 5. დესერტაცია. 6. არის. 7. გაგრა. 8. იაზვა. 9. სპიცი. 11. რკო. 12. დურა. 13. ინი 14. ხვია. 15. ნაჩოსი.




— ბატონო დირექტორო, ჩავატაროთ კრება ვიდრე აკრული აქვს პირი ამ ხალხს.

რედაქტორი ნ. დუმბაძე სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/III-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 847. უე 03030. ტირაჟი 40000.

ეროვნული ბიბლიოთეკა




4. ბავშვმა ფრანგული არ იცის?
რას ჰქვია, ღმერთო, მომკალი!



3. ჯერ პიანინო ასწავლეს,
მერე ჩელო და ვოკალი.




2. ვინ დააცალა დიდობა,
დასწამეს ვუნდერკინდობა.



ИНДЕКС 76317



5. უქიროები ჩააცვეს,
ფეხსაცმელები გახადეს.



6. ნორჩ ფილოლოგთა სხდომებზე
ტვინი ყუთივით ახადეს



7. და რვა წლის ბიჭი ბიკტორ
მიჩურინელი გახადეს.



12. უცებ პატარა ბიკტორას
ცხოვრება ასად გაეყო,



13. რა ქნას საწყალმა ბიკტორამ,
ბიკტორას ტვინი არ ეყო.



14. გახმა, დაბერდა ბიკტორა,
თავი გადექცა ტიკეორად.





18. მერე დაარჭვეს ნემსები.



19.